მოწვევა სატენდერო წინადადების მიღებაზე - ხელახალი გატენდერება

თარიღი:	2022 წლის 27 მაისი
სესხის № და დასახელება:	სესხი № 3238-GEO: ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა (USIIP) - ტრანში 4
კონტრაქტის № და დასახელება:	USIIP/T4/CW/2022/POT-01 (3 ლოტი): ფოთში კანალიზაციის სისტემის მშენებლობა
სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადა:	2022 წლის 8 ივლისი, 16:00 სთ (თბილისის დრო)

1. საქართველომ აზიის განვითარების ბანკისაგან **ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის მე-4 ტრანშის** დაფინანსებისათვის მიიღო სესხი. დაგეგმილია სესხის თანხის ნაწილი გამოყენებული იყოს ზემოხსენებული კონტრაქტის ფარგლებში. ტენდერი ღიაა აზიის განვითარების ბანკის ქვეყნების უფლებამოსილი პრეტენდენტებისათვის.
2. **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“** იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს დაშვებული პრეტენდენტებისაგან **ცალკეული კონტრაქტებისათვის (ლოტები) ან გაერთიანებული კონტრაქტებისათვის ფოთში კანალიზაციის სისტემების მშენებლობის მიზნით.** კერძოდ:

   - ლოტი 1 – USIIP/T4/CW/2022/L1/POT-01
   - ლოტი 2 – USIIP/T4/CW/2022/L2/POT-01
   - ლოტი 3 – USIIP/T4/CW/2022/L3/POT-01

   სამუშაოების (მშენებლობის) სავარაუდო ხანგრძლივობა შემდეგია:
   - ლოტი 1 – USIIP/T4/CW/2022/L1/POT-01 – 450 დღე
   - ლოტი 2 – USIIP/T4/CW/2022/L2/POT-01 – 450 დღე
   - ლოტი 3 – USIIP/T4/CW/2022/L3/POT-01 – 450 დღე

3. **საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ტენდერი** ჩატარდება აზიის განვითარების ერთეტაპიანი - ერთკონვერტიანი სატენდერო პროცედურის შესაბამისად და ხსნილია ყველა პრეტენდენტისათვის იმ დაშვებული ქვეყნებიდან, რომლებიც აღწერილია სატენდერო დოკუმენტებში.
4. მხოლოდ დაშვებული პრეტენდენტები შემდეგი მთავარი კვალიფიკაციით შეძლებენ ტენდერში მონაწილეობის მიღებას:
   - <u>საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა:</u> მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა:
     - ✓ **ლოტი 1 - $ 25,600,000.00**
     - ✓ **ლოტი 2 - $ 27,000,000.00**
     - ✓ **ლოტი 3 - $ 18,000,000.00**

     გამოითვლება გასული სამი (3) წლის განმავლობაში მიმდინარე ან დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში მიღებული ჯამური

დადასტურებული გადახდების სახით (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25, ხოლო ერთმა პარტნიორმა - 40 პროცენტი).

- <u>ფინანსური რესურსები:</u> პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს, რომ გააჩნია ან ხელი მიუწვდება ლიკვიდურ აქტივებზე, საკრედიტო ხაზებზე ან სხვა ფინანსური რესურსებზე, რათა დააკმაყოფილოს პრეტენდენტის ფინანსური რესურსების მოთხოვნები შემდეგი ოდენობებით:
  - ✓ **ლოტი 1 - $ 3,200,000.00**
  - ✓ **ლოტი 2 - $ 3,380,000.00**
  - ✓ **ლოტი 3 - $ 2,238,000.00**

  ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25, ერთმა - 40, ხოლო ყველა პარტნიორმა - 100 პროცენტი.
- <u>მსგავსი ზომისა და სახეობის კონტრაქტი:</u> მონაწილეობა სულ მცირე ერთ (1) კონტრაქტში, რომელიც წარმატებით ან არსებითად დასრულდა გასული ხუთი (5) წლის განმავლობაში და რომელიც მსგავსია შემოთავაზებული სამუშაოებისა; კონტრაქტში პრეტენდენტის მონაწილეობის წილი უნდა აჭარბებდეს შემდეგს:
  - ✓ **ლოტი 1 - $ 12,795,000.00**
  - ✓ **ლოტი 2 - $ 13,500,000.00**
  - ✓ **ლოტი 3 - $ 9,000,000.00**

  პრეტენდენტის მონაწილეობის მსგავსება განიხილება ***ფიზიკური ზომის, სამუშაოების სახეობისა და სირთულის*** ჭრილში.
  ზემოხსენებული ან სხვა კონტრაქტებისათვის, რომლებიც შესრულებულია სატენდერო დოკუმენტების მე-3 სექციის 2.4.1 მუხლში მითითებულ ვადაში, მოთხოვნილია მინიმალური სამშენებლო გამოცდილება შემდეგ სფეროებში:
  ლოტი 1
  - კანალიზაციის HDPE მილების მოწყობა: არა ნაკლებ 24 კმ, მინიმუმ DN 200 (გასულ 5 წელში ერთი წლის პერიოდის განმავლობაში);

  ლოტი 2
  - კანალიზაციის HDPE მილების მოწყობა: არა ნაკლებ 38 კმ, მინიმუმ DN 200 (გასულ 5 წელში ერთი წლის პერიოდის განმავლობაში);

  ლოტი 3
  - სულ მცირე 2 (ორი) კანალიზაციის სატუმბო სადგურისა და თანმხლები ელექტრომოწყობილობების მშენებლობა და ელექტრომექანიკური მონტაჟი; სატუმბო სადგურის ხარჯი ≥ 100 ლ/წმ (თითოეული სატუმბო), ამათგან სულ მცირე ერთი სატუმბო სადგურის ხარჯი ≥ 250 ლ/წმ (გასული 5 წელში ერთი წლის პერიოდის განმავლობაში).

5. დამატებითი ინფორმაციისა და სატენდერო დოკუმენტების მიღებისათვის პრეტენდენტები უნდა დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე:
   შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
   ია მაზანიშვილი და/ან ეთერი ფირანიშვილი
   მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას 5/7, თბილისი

სართული/ოთახი: პირველი სართული
ქალაქი: თბილისი
ZIP კოდი: 0186
ქვეყანა: საქართველო
ტელეფონი: (995 32) 291 90 60
ფაქსიმილე: (995 32) 22 00 36
ელ. ფოსტის მისამართი: info.procurement@water.gov.ge
ასლი: i.mazanishvili@water.gov.ge; e.piranishvili@water.gov.ge; kh.amilakhvari@water.gov.ge

6. სატენდერო დოკუმენტები გაიცემა ელექტრონული ფორმით მხოლოდ წერილობითი მოთხოვნით, რომელიც იგზავნება მე-5 პუნქტში მოცემულ ელ. ფოსტის მისამართზე.
7. წარმოადგინეთ თქვენი სატენდერო წინადადება:
    - ზემოხსენებულ მისამართზე;
    - **სატენდერო წინადადების ჩაბარების ბოლო დღემდე ან ბოლო დღეს: 2022 წლის 8 ივლისი, 16:00 სთ (თბილისის დრო)**
    - სატენდერო წინადადების გარანტიით იმ ოდენობით, რაც მოცემულია სატენდერო დოკუმენტებში.

    სატენდერო წინადადებები გაიხსნება სატენდერო წინადადების ჩაბარების ბოლო ვადის ამოწურვის შემდეგ იმ პრეტენდენტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილი იქნება.

8. დამკვეთი არ იქნება პასუხისმგებელი ხარჯებზე, რომლებსაც პრეტენდენტები გაიღებენ სატენდერო წინადადებების მომზადებისა თუ მოწოდებისათვის.